

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
„ფერო ელოის ფროდაქშენი“
მეტალურგიული (ფეროშენადნობთა) ქარხნის ექსპლუატაციის
პირობების შეცვლისა და აგლომერაციის საწარმოს მოწყობა-
ექსპლუატაციის პროექტი
(ქალაქი რუსთავი, მარის არხის III დასახლება, ს/კ 02.07.02.516)

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ (წერილი # N 21/5814,
03/10/2022) დამატებით მოთხოვნილი და დაზუსტებული ინფორმაცია

მოთხოვნა 1.

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, „შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“ ცემენტის ქარხნის ძირითადი გაფრქვევის მილი საწარმოო ტერიტორიიდან დაშორებულია 600 მეტრი მანძილით, ამდენად ის 500 მეტრიან ზონაში არ ხვდება. ასევე 500 მეტრიან ზონაში არ ხვდება გაფრქვევის ის წყაროები, რომლებიდანაც გაიფრქვევა არაორგანული მტვერი (არაორგანული მტვრის შემცველი ნედლეულის მიღება და გადამუშავება)“. მონაცემების ელექტრონული გადამოწმებით (რაც ასევე გეცნობათ სააგენტოს N21/4733 წერილით) დადგინდა, რომ შპს „ფერო ელოის ფროდაქშენის“ საწარმოდან შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“ საწარმოს უახლოესი გაფრქვევის წყარო მდებარეობს საწარმოს ჩრდილო-დასავლეთით - 02.07.02.599 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე (420 მ). თუმცა თქვენ მიერ დამატებით წარმოდგენილი სიტუაციურ ნახაზზე მონიშნულია შპს „ფერო ელოის ფროდაქშენის“ საწარმოს დასავლეთით არსებული - 02.07.02.035 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე არსებული გაფრქვევის წყარო, შესაბამისად აღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას/გათვალისწინებას. ამასთან გაცნობებთ, რომ მონაცემების ელექტრონული გადამოწმებით 02.07.02.599 და 02.07.02.035 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებზე შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“ საწარმოების ტერიტორიაზე არსებული არაორგანიზებული გაფრქვევის წყაროები ასევე ხვდება საწარმოდან 500 მეტრიან რადიუსში, შესაბამისად აღნიშნული არაორგანიზებული და ჩრდილო-დასავლეთით მდებარე შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“ (420მ) საწარმოს გაფრქვევები ასევე გათვალისწინებული უნდა იქნას მავნე ნივთიერებების გაბნევის ანგარიშში ფონურ მაჩვენებლებად. ამასთან წარმოდგენილი უნდა იყოს სიტუაციური სქემა, აღნიშნული საწარმოების გაფრქვევის წყაროების ჩვენებით და კოორდინატების მითითებით;

პასუხი:

ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაბნევის გამოთვლებისას გათვალისწინებული იქნა საწარმოს ახლოს მდებარე შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“ ცემენტის საწარმოდან გაფრქვევის წყაროს ინტენსივობები, რომლებიც ხვდებიან 500 მეტრიან რადიუსის ზონაში და კუმულაციურ ზემოქმედებაშია საწარმოსთან და შესაბამისი ცლილებებით წარმოგიდგენთ კორექტირებულ ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტს;

მოთხოვნა 2.

ზემოაღნიშნული საკითხების დაზუსტების გათვალისწინებით, წარმოდგენილი უნდა იყოს კორექტირებული ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტი;

პასუხი:

წარმოდგენილი იქნა კორექტირებული ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტი 500 მეტრიან რადიუსის ზონაში არსებული საწარმოების გათვალისწინებით;

მოთხოვნა 3.

დამატებით წარმოდგენილ დოკუმენტაციაში არ არის მოცემული ტექნოლოგიურ ციკლში მონაწილე თითოეული დანადგარის ხმაურის დონის შესახებ ინფორმაცია და საწარმოს გეგმა ხმაურის წყაროების დატანით;


პასუხი:

ქვემოთ ცხრილი სახით და გენ-გეგმაში მოცემულია ტექნოლოგიურ ციკლში მონაწილე თითოეული დანადგარის ხმაურის დონის შესახებ ინფორმაცია და საწარმოს გეგმა ხმაურის წყაროების დატანით.

საწარმოში დამონტაჟებული დანადგარების ხმაურის დონის სიდიდეები:

#	დანადგარების დასახელება	ხმაურის დონე, დბ
1	სადნობი ღუმელები	75
2	სატრანსფორმატორო	80
3	კაზმის მომზადების უბანი	90
4	აირგამწმენდი დანადგარი	85
5	აგლომერაციის გამწოვი სისტემა	85
6	ელექტროქვესადგური	75

მიწის ნაკვეთის ს/კ 02 07 02 516
 განცხადების რეგისტრაციის ნომ. 882011001765
 მიწის ნაკვეთის ფარ. 12 206 კვ.მ
 სასარგებლო ფარ. 5300 კვ.მ



1. ღუმელი
2. ღუმელი
3. სატრანსფორმატორო
4. კაზმის მომზადების უბანი
5. აირგამწმენდი უბანი
6. საჩამომსხმელო მანქანა
7. ელექტრო ქვესადგური
8. ინდუქციური ღუმელი
9. ინ. ღუმელის აირგამწმენდი
10. ღუმელი
11. სატრანსფორმატორო
12. აირგამწმენდი
13. ტექ. წყლის აუზი
14. აგლომერაციის გამწოვი სისტემა
15. აგლომერაციის უბანი
16. მექანიკური სახელოსნო
17. წიდის დასადვრელი ორმო
18. საწეობი

დან.1. საწარმოს გენ-გეგმა ხმაურის წყაროების ჩვენებით

მოთხოვნა 4.

სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ შპს „ფერო ელოის ფროდაქშენის“ საწარმოს ინსპექტირების შედეგად 2021 წლის 18 თებერვალს შედგენილ იქნა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის შესახებ N058961 და N002332 ოქმები, აღნიშნულის გათვალისწინებით 2019 წლის 15 ივლისის N2-663 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული პირობების შესრულების მიზნით განსაზღვრულ იქნა გონივრული ვადები. თუმცა გონივრული ვადების შესრულების მდგომარეობის შესახებ (თითოეული ვალდებულების მითითებით) ინფორმაცია არ არის წარმოდგენილი, შესაბამისად აღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას;

ვალდებულება 1.1. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან, დაუყოვნებლივ დაიწყოს და შემდგომ საქმიანობის განხორციელების პროცესში მუდმივად უზრუნველყოს სამინისტროსთან შეთანხმებული „ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტში“ წარმოდგენილი გამოყოფისა და გაფრქვევის წყაროების, ასევე აირმტვერდამჭერი მოწყობილობების პარამეტრების დაცვა და შესაბამისად დადგენილი ზღვრულად დასაშვები გაფრქვევების ნორმების შესრულება.

პასუხი:

საწარმო პერიოდულად ახორციელებს „ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტში“ წარმოდგენილი გამოყოფისა და გაფრქვევის წყაროების, ასევე აირმტვერდამჭერი მოწყობილობების პარამეტრების დაცვას და შესაბამისად დადგენილი ზღვრულად დასაშვები გაფრქვევების ნორმების შესრულებას. ის ახორციელებს ინსტრუმენტულ გაზომვებს, თუ რამდენად შეესაბამება საწარმოში გაფრქვეული მავნე ნივთიერებების ინტენსივობები დადგენილ ნორმებს.

ვალდებულება 1.2. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან დაუყოვნებლივ დაიწყოს და შემდგომ მუდმივად უზრუნველყოს აირმტვერდამჭერი მოწყობილობის ექსპლოატაციის წესების დაცვა, ასევე აირმტვერდამჭერი მოწყობილობის მუშობის ეფექტურობის შემოწმება ინსტრუმენტალური გაზომვების მეთოდით „აირმტვერდამჭერი მოწყობილობის ექსპლოატაციის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 3 იანვრის #21 დადგენილების შესაბამისად

პასუხი:

საწარმომ განახორციელა და შემდგომ მუდმივად განახორციელებს აირმტვერდამჭერი მოწყობილობის ექსპლოატაციის წესების დაცვას, ასევე აირმტვერდამჭერი მოწყობილობის მუშობის ეფექტურობის შემოწმებას, რომლის შედეგები წარდგენილია გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტში, კერძოდ:

- აირმტვერდამჭერი მოწყობილობის მუშაობის ეფექტურობის შემოწმების ინსტრუმენტული გაზომვების შედეგები - 11.01.22 და 01.05.22 (პირობა - 1.2);

ვალდებულება 1.3. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან დაუყოვნებლივ დაიწყოს და შემდგომში განსაზღვრული წესით მუდმივად უზრუნველყოს პირველადი აღრიცხვის დოკუმენტაციის (პად -1, პად-2, პად-3) წარმოება „დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების თვითმონიტორინგისა

და ანგარიშგების წარმოების ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 ბ დეკემბრის #413 დადგენილების შესაბამისად;

პასუხი:

საწარმო ახორციელებს პირველადი აღრიცხვის დოკუმენტაციის (პად -1, პად-2, პად-3) ფორმების შევსებას, რომლის შედეგები წარდგენილია გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტში, კერძოდ:

- 2021 წლის ოთხივე კვარტლის და მიმდინარე წლის I კვარტლის პად-1; პად-2; პად-3 დოკუმენტაცია (პირობა - 1.3);

ვალდებულება 1.4. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან დაუყოვნებლივ აღკვეთოს მავნე ნივთიერებათა არაორგანიზებული გაფრქვევა და შემდგომ მუდმივად უზრუნველყოს მადანთერმული ღუმელების გამწოვების ჰერმეტიზაცია და მათი სრულყოფილი ფუნქციონირება;

პასუხი:

საწარმომ აღკვეთა მავნე ნივთიერებათა არაორგანიზებული გაფრქვევა და უზრუნველყო მადანთერმული ღუმელების გამწოვების ჰერმეტიზაცია და მათი სრულყოფილი ფუნქციონირება, რომლის შედეგები წარდგენილია გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტში (იხ შესაბამისი სურათები):





ვალდებულება 2. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან დაუყოვნებლივ დაიწყოს და არაუგვიანეს 1 თვის ვადაში უზრუნველყოს საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი ყველა ტიპის ნარჩენების კლასიფიკაცია/ალიცხვა, სახეობებისა და მახასიათებლების მიხედვით და ამავე ვადაში უზრუნველყოს საწარმოში წარმოქმნილი ნარჩენების სეპარირებისა და შეგროვების სისტემის დანერგვა.

პასუხი:

საწარმომ აღნიშნულ ვადაში უზრუნველყო საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი ყველა ტიპის ნარჩენების კლასიფიკაცია/ალიცხვა, სახეობებისა და მახასიათებლების მიხედვით, ასევე უზრუნველყო საწარმოში წარმოქმნილი ნარჩენების სეპარირებისა და შეგროვების სისტემის დანერგვა, რომლის შედეგები წარედგინა გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს (იხ შესაბამისი ფოტოები).



ვალდებულება 3. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) დღის ვადაში სამინისტროში შესათანხმებლად წარმოადგინოს ნარჩენების მალტვის კოდექსისა და „კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმის განხილვისა და შეთანხმების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის

სამინისტროს 2015 წლის 4 აგვისტოს #211 ბრძანების მოთხოვნების გათვალისწინებით შემუშავებული. კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმა, შემდგომში, ნარჩენების მართვა განახორციელოს სამინისტროსთან შეთანხმებული ნარჩენების მართვის გეგმის თანახმად.

პასუხი:

საწარმომ შეიმუშავა და სამინისტროში წარადგინა ნარჩენების მართვის გეგმა, რომელიც შეთანხმებულ იქნა და ნარჩენების მართვას ახორციელს სამინისტროსთან შეთანხმებული ნარჩენების მართვის გეგმის თანახმად.

ვალდებულება 4. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში, სრულად უზრუნველყოს, „საწარმოს ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარით აღჭურვა გზმ-ს ანგარიშის შესაბამისად.

პასუხი:

საწარმომ აღნიშნულ ვადაში უზრუნველყო საწარმოს ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარით აღჭურვა, რომლის მასალები წარედგინა გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს (იხ შესაბამისი სურათები):




მოთხოვნა 5.

წილის არასახიფათოობის დადგენის მიზნით წარმოდგენილია ლაბორატორიული ანალიზის შედეგები, თუმცა არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია ლაბორატორიის შესახებ რომელმაც ჩაატარა საწარმოში წარმოქმნილი ნარჩენის - წილის შემადგენლობაზე ანალიზი და ლაბორატორიის შესაბამისი დასკვნა.

პასუხი:

საწარმოს გააჩნია საკუთარი ლაბორატორია, სადაც ხორციელდება როგორც ნედლეულის, პროდუქციის და წილის ლაბორატორიული კონტროლი.

ქვემოთ სურათებში მოცემულია შესაბამისი ლაბორატორიული დანადგარის სურათები.



წიდა ლაბორატორიული ანალიზის შედეგები მოცემულია ქვემოთ.

Analyzed result

Sample Information

Sample name	SHLAK
File name	SHLAK_202209161220
Application	Slag full
Date	2022/ 9/16 12:20
Analyzed by*	nana
Counts	1
Comment	Slag full

Analyzed result(FP method)

No.	Component	Result	Unit	Element line	Intensity(cps/μA)
1	Na2O	2,78	mass%	L:Na-Kα	0,13477
2	MgO	3,32	mass%	L:Mg-Kα	1,93333
3	Al2O3	11,5	mass%	L:Al-Kα	25,77973
4	SiO2	52,2	mass%		
5	SO3	2,02	mass%	L:S-Kα	29,69158
6	K2O	1,81	mass%	M:K-Kα	0,72936
7	CaO	16,6	mass%	M:Ca-Kα	9,25888
8	TiO2	1,06	mass%	M:Ti-Kα	0,97901
9	Cr2O3	(0,0085)	mass%	M:Cr-Kα	0,02176
10	Mn	8,50	mass%	M:Mn-Kα	46,94733
11	Fe	0,236	mass%	M:Fe-Kα	2,10844
12	P	0,0112	mass%	L:P-Kα	0,18893

მოთხოვნა 6.

კორექტირებას საჭიროებს ცხრილი 1 (საქართველოს გარემოსდაცვითი კანონების ნუსხა) და ცხრილი 2 (გარემოსდაცვითი სტანდარტების ნუსხა), სადაც მოცემულია ძალადაკარგული კანონები/კანონქვემდებარე აქტები.

პასუხი:

საქართველოს ეკონომიკური პოტენციალის ამღლება არ უნდა განხორციელდეს გარემოზე უარყოფითი და შეუქცევადი ზემოქმედების ხარჯზე. სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტების აგების დროსაც კი აუცილებელია გარემოს დაცვის, გარემოსდაცვითი ღონისძიებების გათვალისწინება და ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნება.

ადამიანთა ჯანსაღ გარემოში ცხოვრების გარანტიას იძლევა საქართველოს კონსტიტუცია (მუხლი 37). ამ უფლებათა დაცვა გათვალისწინებულია საქართველოს კანონმდებლობით. შესაბამისი კანონები ასახავენ სახელმწიფოს პოზიციას ამ სფეროში, ითვალისწინებენ საერთაშორისო რიგი კონვენციების მოთხოვნებს და მოიცავენ გარემოს დაცვის ღონისძიებათა მთელ კომპლექსს.

ქვემოთ ჩამოთვლილია საქართველოს კანონები და საერთაშორისო კონვენციები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია გარემოზე ზემოქმედების წინასწარი შეფასების ამოცანასთან.

საერთაშორისო კონვენციები გარემოს დაცვის სფეროში

1. კონვენცია „გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ“ ორჰუსი, დანია, 23–25 ივნისი 1998წ

2. სახიფათო ნარჩენების ტრანსსასაზღვრო გადაზიდვასა და მათ განთავსებაზე კონტროლის შესახებ, ბაზელი, 1989 წ.
3. კონვენცია ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ ;
4. კონვენცია ცხოველთა მიგრირებადი სახეობების დაცვაზე
5. კონვენცია გადაშენების პირას მყოფი ველური ფაუნისა და ფლორის სახეობათა საერთაშორისო ვაჭრობის თაობაზე;
6. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენცია;
7. გაეროს კონვენცია გაუდაბნოებასთან ბრძოლის შესახებ იმ ქვეყანაში, რომლებიც განიცდიან სერიოზულ გვალვას და/ან გაუდაბნოებას, განსაკუთრებით აფრიკაში;
8. კონვენცია შორ მანძილზე ჰაერის ტრანსსასაზღვრო დაბინძურების შესახებ;
9. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის კიოტოს ოქმი;
10. 1987 წლის მონრეალის ოქმი ოზონის შრის დამშლელი ნივთიერებების შესახებ;
11. კონვენცია „საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი, განსაკუთრებით წყლის ფრინველთა საბინადროდ ვარგისი, ტერიტორიების შესახებ““ რამსარი, 02.02.1971წ
12. შავი ღვის დაცვის კონვენცია;
13. 1985 წლის ვენის კონვენცია ოზონის შრის დაცვის შესახებ.

გარემოსდაცვითი კანონები

გარემოს დაცვის სფეროში საქართველოში მიღებულია შემდეგი კანონები:

გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცესში გათვალისწინებული უნდა იქნას საქართველოს შემდეგი გარემოსდაცვითი კანონები (იხილეთ ცხრილი 1)

ცხრილი 1. საქართველოს გარემოსდაცვითი კანონების ნუსხა

მიღების წელი	კანონის დასახელება	სარეგისტრაციო კოდი	საბოლოო ვარიანტი
1996	საქართველოს კანონი გარემოს დაცვის შესახებ	360.000.000.05.001.000.184	06/09/2013
1997	საქართველოს კანონი წყლის შესახებ	400.000.000.05.001.000.253	06/09/2013
1999	საქართველოს კანონი ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ	420.000.000.05.001.000.595	05/02/2014
2003	საქართველოს კანონი ნიადაგების კონსერვაციისა და ნაყოფიერების აღდგენა-გაუმჯობესების შესახებ	370.010.000.05.001.001.274	19/04/2013
2003	საქართველოს კანონი „ცხოველთა სამყაროს შესახებ“	410.000.000.05.001.000.186	06/09/2013
2005	საქართველოს კანონი ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ	300.310.000.05.001.001.914	20/02/2014
2015	ნარჩენების მართვის კოდექსი	360.160.000.05.001.017.608	21/12/2016
2017	გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი.	360160000.05.001.018492	01.01. 2018

გარემოსდაცვითი ქვენორმატიული აქტები

საქართველოში მოქმედებს გარემოს დაცვის სფეროში სტანდარტების კომპლექსი. გარემოს მდგომარეობის ხარისხობრივი ნორმები ადგენენ მოთხოვნებს გარემოს ხარისხობრივი მდგომარეობისადმი და განსაზღვრავენ ადამიანის ჯანმრთელობისა და გარემოსათვის მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციებს წყალში, ჰაერსა და ნიადაგში.

საქართველოს მთავრობის დადგენილებებით მიღებული იქნა გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ტექნიკური რეგლამენტები, რომლებიც მოცემულია 2 ცხრილში.

ცხრილი 2. გარემოსდაცვითი სტანდარტების ნუსხა

რეგისტრაციის თარიღი და ნომერი	საქართველოს მთავრობის დადგენილების სათაური, რომლითაც დამტკიცდა ტექნიკური რეგლამენტი	მიღების თარიღი და სარეგისტრაციო ნომერი
10.01.2014 №17	ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების გაანგარიშების ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე	31.12.2013 №408
10.01.2014 №22	დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების თვითმონიტორინგის და ანგარიშგების წარმოების ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე	31.12.2013 №413
10.01.2014 №23	ზედაპირული წყლის ობიექტებში ჩამდინარე წყლებთან ერთად ჩაშვებულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების (ზდჩ) ნორმების გაანგარიშების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე	31.12.2013 №414
10.01.2014 №43	დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობის განსაზღვრის ინსტრუმენტული მეთოდის, დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობის დამდგენი სპეციალური გამზომ-საკონტროლო აპარატურის სტანდარტული ჩამონათვალისა და დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან ტექნოლოგიური პროცესების მიხედვით ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობის საანგარიშო მეთოდიკის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე	31.12.2013 №435
10.01.2014 №76	გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტების დამტკიცების თაობაზე	03.01.2014 №17
10.01.2014 №80	აირმტვერდამჭერი მოწყობილობის ექსპლუატაციის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე	03.01.2014 №21
10.01.2014 №97	ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროების ინვენტარიზაციის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე	06.01.2014 №42
31/12/2013	ტექნიკური რეგლამენტი - „ნიადაგის ნაყოფიერების დონის განსაზღვრის“ და „ნიადაგის კონსერვაციისა და ნაყოფიერების მონიტორინგის“ დებულებები, დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის დადგენილებით	06.01.2014 N415
31/12/2013	ტექნიკური რეგლამენტი - „წყალდაცვითი ზოლის შესახებ“, დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის №440 დადგენილებით	06.01.2014 N440
31/12/2013	ტექნიკური რეგლამენტი - „საქართველოს მცირე მდინარეების წყალდაცვითი ზოლების (ზონების) შესახებ“	06.01.2014 N445
04.08.2015	კომპანიის ნარჩენების მართვის გემის განხილვისა და შეთანხმების წესი	მინისტრის ბრძანება N211
11.08.2015	ნარჩენების აღრიცხვის წარმოების, ანგარიშგების განხორციელების ფორმა და შინაარსი	11.08.2015 N422
17.08.2015	სახეობებისა და მახასიათებლების მიხედვით ნარჩენების ნუსხა და კლასიფიკაცია	17.08.2015 N426
27.04.2021	„დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების თვითმონიტორინგის და ანგარიშგების წარმოების ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის N413 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.	27.04.2021 N 192

გარემოს დაცვის სტანდარტები და ნორმატიული აქტები

საქართველოში გამოიყენება გარემოს დაცვის სფეროში, სტანდარტების კომპლექსი. გარემოს მდგომარეობის ხარისხობრივი ნორმები ადგენენ მოთხოვნებს გარემოს ხარისხობრივი მდგომარეობისადმი და განსაზღვრავენ ადამიანის ჯანმრთელობისა და გარემოსათვის მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციებს წყალში, ჰაერსა და ნიადაგში.

წყალსატევში მავნე ნივთიერებების ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციების (ზდკ) სიდიდეები რეგლამენტირებულია. მათ საფუძველზე შესაძლებელია მავნე ნივთიერებების წყალში ჩაშვების (ემისიის) ზღვრულად დასაშვები ნორმების დადგენა.

«საქართველოს ზედაპირული წყლების დაბინძურებისაგან დაცვის წესები» დამტკიცებულია გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის მიერ 17.09.96წ. №130 ბრძანებით. ჩაშვება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ჩასაშვები წყალი არ გამოიწვევს წყალსატევში დამაბინძურებელი ნივთიერებების შემცველობის გაზრდას დადგენილი ნორმების ზევით და წყლის მომხმარებელი უზრუნველყოფს ჩამდინარე წყლების გაწმენდას გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ დადგენილ დონემდე. წყლის ხარისხზე საქართველოში შემუშავებული სტანდარტები მთლიანობაში შეესაბამება სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (ISO) რეკომენდაციებს.

ჰაერის ხარისხის სტანდარტები დაფუძნებულია საქართველოს კანონზე «ატმოსფერული ჰაერის შესახებ». აქროლადი ნივთიერებების ზდკ ჰაერში დადგენილია 0,5 და 24 საათის საშუალო სიდიდეების მიხედვით და ეფუძნება ქიმიური ნივთიერებების იმ კონცენტრაციას, რომელიც არ ახდენს ზეგავლენას ადამიანის რეფლექტორულ სუნთქვით აქტივობაზე.

გარემოსდაცვითი სტანდარტები ადგენენ გარემოს ხარისხობრივი მდგომარეობის მოთხოვნებს და განსაზღვრავენ წყალში, ჰაერსა და ნიადაგში ადამიანის ჯანმრთელობისთვის და გარემოსთვის სახიფათო ნივთიერებების მაქსიმალურ დასაშვებ კონცენტრაციებს (გარემოს ხარისხობრივი მდგომარეობის შესახებ შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის №297/ნ ბრძანება).

სახიფათო ნივთიერებების ემისიის/ჩაშვების (წყალში, ჰაერში, ნიადაგის გარემოში) კვოტები განსაზღვრავს დაბინძურების ყველა წყაროსთვის ემისიის/ჩაშვების მაქსიმალურ დასაშვებ სიდიდეებს. ნივთიერებების ჩამონათვალი მოცემულია გარემოს დაცვის და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ დამტკიცებული (№139, 25.11.1997) სტაციონარული დაბინძურების წყაროებიდან გაფრქვეული სახიფათო ნივთიერებების საშიშროების კოეფიციენტის დამტკიცების შესახებ დებულების შესაბამისად.

წყლის ობიექტებში სახიფათო ნივთიერებების მაქსიმალური დასაშვები კონცენტრაციების კვოტები (MPC) განისაზღვრება საქართველოს კანონით წყლის შესახებ. მაქსიმალური დასაშვები კონცენტრაციები განისაზღვრება კონკრეტული ობიექტისთვის ინდივიდუალურად.

საქართველოში მოქმედი წყლის ხარისხის სტანდარტები შეესაბამება ISO რეკომენდაციებს.